



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N03

ქ. მარნეული

19.02.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ზურაბ ფანგანი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, ალი მურადოვი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა:

ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ილხამ გასანოვი, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, ლევონ აკოპიანი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ლამა ლობჯანიძე** მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადეღია**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები: **ცოტნე ბოჭოიძე** და **ხომგადამ ნოვრუზალოვა**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველები **თემურ შუბითიძე** და **ომარ ლუხუტაშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე**, ამავე განყოფილების სპეციალისტი **გელა შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები **ხელშეკრულებით თამაზ ბოჭოიძე**, **გაბილ ხალილოვი**, **აგილ ამირჯანოვი** და **ისმაილ ბაირამოვი**. მოქალაქეები: **შერმადინ ბოჭოიძე**, **ირაკლი ჩხიტუნბე**, **გიორგი შუბითიძე**, **თეიმურაზ გოგრიჭიანი** და **ლუკა სივსივაძე**.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 18 თებერვლის N32-3221049242 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 16 თებერვლის N32-3221047280 წერილით შემოსული დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N09. 19.02.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილებების პროექტები. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და მერიის საშტატო ნუსხაში შესატანი ცვლილებების შესახებ: „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №04 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №05 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №06 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ; „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 09 თებერვლის №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები: N10, N11, N12, N13, N14, N15, N16. 19.02.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 18 თებერვლის N32-3221049242 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 18 თებერვლის N07-3221049221 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N58ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, საგზაო ნიშნის „დგომა აკრძალულია გარდა სამარშრუტო მიკროავტობუსებისა და ავტობუსებისა“-ს დადგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N06. 19.02.2021 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე